



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლოლაძე დიმიტრი რევაზის ძე



ლოლაძე დიმიტრი (დემიკო) რევაზის ძე (დ. 3. IV. 1944, თბილისი), პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. (1968) და იურიდ. (1987) ფაკ-ტები, ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. მე-2 სამუსიკო სასწავლებელი (1965). არის საქართვე. მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, მხატვართა, ჟურნალისტთა კავშირებისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი.

დ. ლოლაძე

ლ. მრავალი წიგნის, კრებულისა და ალბომის ავტორია, მ. შ. „ქართული ფეხბურთის დიდგორი“, „შოთა იამანიძე“, „მიხეილ მესხი“, „სლავა მეტრეველი“, „ვლადიმერ ბარქაია“, „ავთანდილ ლოლობერიძე“, „სერგო კოტრიკაძე“, „გივი ჩოხელი“, „მურთაზ ხურცილავა“, „ბორის სიჭინავა“, „ილია დათუნაშვილი“, „ბორის პაიჭაძე“, „ჯემალ ზეინკლიშვილი“, „ვახტანგ ჭელიძე“, „ნოდარ ახალკაცი“, „ვითალი დარასელია“, „ალექსანდრე ჩივაძე“, „ოთარ გაბელია“, „სერგო კუტივაძე“, „ძმები ნოდიები“, „დავით ყიფიანი“, „ფირუზ კანთელაძე“, „ჯემალ ცერცვაძე“, „ვაჟა აზარაშვილი“, „დრო და ადამიანები“ (I-V ნაწ.), „საგა ვარსკვლავურ წყვილზე“, „იმედო ფხაკაძე“ და სხვ. მან ორი კრებული მიუძღვნა საქართვე. ეროვნ. გმირს ჟ. შარტავას.

ლ-ს მინიჭებული აქვს საქართვე. დამს. მასწავლებლის (1988), სპორტის დამს. მუშაკის (1999), „თბილისზე მზრუნველის“ (2014), ქართ. კულტურის ამაგდარის (2016), დამს. ჟურნალისტის (2019), „სპორტის რაინდის“ (2021) წოდებები.

მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის (2001), ივ. ჯავახიშვილის (2003), გ. ნიკოლაძის (2005), სეოკ-ის ოლიმპიური (2020) მედლები, სპეც. პრიზი ქართ. ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2021). არის ღირსების ორდენის (ორგზის – 1999, 2018) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2017).

თ. დოლიძე
